ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N87

2018 წლის 10 მაისი
ქ.ქობულეთი

**შპს ,,მაგთიკომი"-სათვის
საზოგადოებრივი სივრცის გამოყენებაზე
თანხმობის მიცემის შესახებ**

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1.მიეცეს თანხმობა შპს ,,მაგთიკომს" ქობულეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ჩაქვში 7 (შვიდი) ერთეული საყრდენი ბოძის და 160 მეტრი ოპტიკურ-ბოჭკოვანი საჰაერო კაბელის მონტაჟისა და განთავსებისათვის საჭირო სამუშაოების წარმოებაზე, თანდართული სიტუაციური სქემის შესაბამისად.

2. შპს ,,მაგთიკომმა" უზრუნველყოს ქობულეთის მუნიციპალიტეტი, დაბა ჩაქვში 7 (შვიდი) ერთეული საყრდენი ბოძის და 160 მეტრი ოპტიკურ-ბოჭკოვანი საჰაერო კაბელის მონტაჟისა და განთავსებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურთან, ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურებს.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი